



ბანათლების ხარისხის ბანკითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, დოქტორანტურა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
22.10.2021 წ.
დასკვნის წარდგენის თარიღი
22.11.2021 წ.

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები - Earth Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი- - PhD inEarth Sciences.
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები/Earth Sciences
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	48 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	შალვა კვლეპტრიშვილი, საქართველოს
-----------------------------	----------------------------------

¹ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

○ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ სააკრედიტაციოდ მომზადდა 2021 წელს. პროგრამა ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში მაღალი დონის მკვლევარების მომზადებაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან საერთაშორისო სამეცნიერო ასპერეზზე.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია თანამედროვე ტენდენციების, საერთაშორისო სტანდარტების და დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა. თანამედროვე ტენდენციების და დამსაქმებლების აზრის გათვალისწინებით მოხდა მეთოდური კურსების ბლოკის გამოყოფა და ტრანსფერული უნარების განმსაზღვრელი კომპონენტების დამატება. სადოქტორო პროგრამაში კვლევისთვის აუცილებელი, უახლეს ტენდენციებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნის გაღრმავება ხდება დარგობრივი სემინარების ფორმატში. ასევე, შემუშავდა სწავლის შედეგების მიღწევისთვის სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები მოიცავს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ინსტიტუტს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრს „კულტურული მემკვიდრეობა და გარემო“ და „გარემოს კომპლექსური კვლევის“ სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიას, ასევე გამოთვლით ცენტრს. პროგრამა უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებითა და შესაბამისი წიგნადი ფონდით; სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტებით Elearning და Turnitin, კომპიუტერული ლაბორატორიებით და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემით „არგუსი“.

○ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად (MES 5 21 0001032678, 5.10.2021), რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) შალვა კელეპტრიშვილი (თავმჯდომარე); ბ) ნინო ჯოჯუა (წევრი); გ) გიორგი ბრეგვაძე (წევრი); დ)

ირაკლი ნოდია (წევრი). აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

ვიზიტი უნივერსიტეტში დაიწყო 2021 წლის 22 ოქტომბერს 9:45 სთ-ზე. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუ შემდეგ ჯგუფებთან:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
2. თვითშეფასების ჯგუფთან;
3. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან და სპეციალისტებთან;
4. პროგრამის ხელმძღვანელთან;
5. აკადემიურ პერსონალთან;
6. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
7. მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
8. დამსაქმებლებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. კერძოდ,

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 2.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 3.2 - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

○ რეკომენდაციები

სტანდარტი 1

○ დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა.

სტანდარტი 2

- გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით;
- შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები;
- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1¹ მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

○ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტი 2

- გასწორდეს ხარვეზი კურიკულუმის სტრუქტურაში და დაემატოს სასწავლო კურსი „ასისტირება“;
- სასურველია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა;
- სასურველია კომპონენტისათვის „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ დასკვნითი შეფასება ჩატარდეს კომისიური წესით;

სტანდარტი 5

- პროგრამაში შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით გაფართოვდეს კვლევები აღნიშნული მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის პროგრამული სისტემა "არგუსი" (არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა).

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

მოსაზრებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინასწარი დასკვნის მიმართ არგუმენტირებულ პოზიციებთან დაკავშირებით

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ინსტიტუციის მიერ მეორე სტანდარტის პირველი, მეორე და მესამე რეკომენდაცია გასწორებულია და ვთვლით, რომ ეს გასწორება მისაღებია. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებზე არგუმენტირებულ პოზიციებს, ექსპერტთა ჯგუფი მას არ ეთანხმება და ჩვენს მოსაზრებებს წარმოვადგენთ ზეპირი მოსმენის დროს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარება გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მიზანია:

შექმნას მაღალი ხარისხის კვლევითი გარემო, რათა მოამზადოს მკვლევარები დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სფეროში, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას კვლევის ერთ-ერთი მიმართულებით, მის ვალიდაციას საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში და მზად იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც უმაღლესი განათლების სფეროში, ასევე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებთან დაკავშირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ინდუსტრიაში ან საკონსულტაციო/საექსპერტო სექტორში.

პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია კვლევის და სწავლების ინტეგრაციით ახალი ვალიდური ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამისათვის შრომის ბაზრის კვლევის მიზნით შექმნილმა ფოკუს-ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა პოტენციური დამსაქმებლებისა და პროგრამის კურსდამთავრებულებისაგან შეისწავლა დარგში არსებული ტენდენციები. პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად ჩაითვალა საკვლევი საკითხებსა და პრაქტიკას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, მონაცემთა ანალიზის მეთოდების და ცოდნის დაუფლება, ახალი ცოდნის შექმნისთვის აუცილებელი კვლევითი და ანალიტიკური უნარების გამომუშავება.

სადოქტორო პროგრამა თანხვედრაშია დარგის და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელშიც წარმოდგენილია ბაზრის მთავარი სეგმენტი საქართველოში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში.

პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზარზე აძლიერებს ის გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი,“ რომელიც წარმოადგენს საქართველოში აღნიშნულ დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ერთ-ერთ

მოწინავე ცენტრს და დამსაქმებელს.

პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებგვერდით (www.iliauni.edu.ge) არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.

პროგრამის მიერ დასახული მიზნები გამჭვირვალეა, მიღწევადია დამიმართულია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დამსაქმებლების კვლევა

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის აღმწერს. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა ეტაპობრივად განხორციელდა და უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მანამდე არსებული პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოხდა უცხოელი კოლეგის მიერ (ბრიჯუოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ). პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი მხარეებისგან მიღებულ რეკომენდაციებს.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საკვალიფიკაციო დონის აღმწერთან. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი, რეალისტური და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

1. აქვს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის შერჩეულ სფეროში აქტუალური პრობლემის/საკითხის შესახებ უახლესი ცოდნა, რომლის კრიტიკული და სისტემური ანალიზის საფუძველზე ადგენს ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და ამ ცოდნის გენერირების მეთოდოლოგიას;
2. შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ორიგინალური კვლევა უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით და მის საფუძველზე გააფართოვოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში ცოდნის არსებული საზღვრები;
3. შეუძლია მიღებულ/შეგროვებულ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი თანამედროვე ალგორითმებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;
4. კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
5. აწარმოებს ეფექტურ სამეცნიერო კომუნიკაციას მშობლიურ და ინგლისურ ენებზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
6. შეუძლია ცოდნის ვალიდაცია საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში;
7. ახდენს ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს. პროგრამის სწავლის შედეგების მის მიზანთან შესაბამისობა დასტურდება პროგრამის მიზნების რუკით. სადოქტორო პროგრამის ამოქმედებისთანავე დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება, რომლის მიზანია:

1. დადგინდეს რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.
2. დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.
3. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში

სტუდენტთა მონაცემების ანალიზი და იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები.

პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისთვის გათვალისწინებულ იქნა 2011 წლიდან დღემდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების მაჩვენებლები (მაგალითად, გამოქვეყნებისა და დაცვის მაჩვენებლები, სტუდენტების აკადემიური მოსწრება). პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას აგრეთვე გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ექსპერტის მხრიდან მიღებული უკუკავშირი.

უნივერსიტეტში მოქმედებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის, შეიმუშავებს ტრენინგ-მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი - პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ.

სწავლის შედეგების, პროგრამის კომპონენტებისა და სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობა ნათლადაა გადმოცემული სამიზნე ნიშნულების რუკაზე. თუმცა, აღნიშნული რუკა სასურველია დაკორექტირდეს, კერძოდ:

1. მე-7 სწავლის შედეგისათვის „ახდენს ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიაში“, კომპონენტი „TSDC ტრენინგი“, რომელიც არაა კურიკულუმის შემადგენლობაში, სასურველია შეიცვალოს სასწავლო კურსით „ასისტირება“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სწავლების პროცესის ასისტირება (სტუდენტის შეფასება, კურსის მასალის მიმზადება, სემინარების, პრაქტიკული სამუშაოს, ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. ჩატარება). სამიზნე ნიშნული კი დადგინდეს ამ სასწავლო კურსის შესაბამისად.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამაში მომუშავე პერსონალისათვის პროგრამის შეფასების საკითხებზე შემუშავებულია ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციოსაბ ჭოსადადოქტორანტურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასშინჯვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- პროგრამის სამუშაო გეგმის ოქმები
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
<http://argus.iliauni.edu.ge>
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.iliauni.edu.ge
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური პერსონალის ადამისწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) დებულება ○ დამსაქმებლის კვლევა ○ სადოქტორო საფეხურის პროგრამების კვლევის ანგარიში ○ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საფეხურის სტუდენტების დაკურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს.

სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, გეოლოგიაში, გეოგრაფიაში, გეოფიზიკაში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნებისმიერ დეტალურ სფეროში, ასევე, მათემატიკაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, სამთო საქმესა და გეოლოგიის მენეჯმენტში, არქეოლოგიაში, ინჟინერიის ისეთ დეტალურ სფეროში როგორცაა, გარემოს დაცვის ტექნოლოგია, სამთო საქმე და მოპოვება, ინჟინერია და საინჟინრო საქმე, საინჟინრო ფიზიკა, საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა;

• სადოქტორო კვლევითი განაცხადი;

• წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან მინიმუმ B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი.

• წარმატებით ჩაბარებული ზეპირი გამოცდა, რომელიც მოიცავს დარგობრივი ცოდნის შემოწმებას, კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას და დისკუსიას.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge.

უნდა გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იმ ადგილას, სადაც საუბარია ინჟინერიის სფეროებზე. ჩამოთვლილი სფეროები მოიცავს ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის ორ ვიწრო სფეროს: 1. ინჟინერიას და საინჟინრო საქმეს, 2. წარმოებას და გადამუშავებას. ტექსტში ნახსენები სფერო - ინჟინერია და საინჟინრო საქმე წარმოადგენს ვიწრო სფეროს და უნდა გასწორდეს, რადგან ის მოიცავს ისეთ დეტალურ სფეროებს (ქიმიური ინჟინერია და პროცესები, ელექტრობა და ენერჯია, ელექტრონიკა და ავტომატიზაცია, მექანიკა და ლითონის საქმე, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები) რომელთაგანაც პროგრამას არა აქვს შეხება. ამავე ვიწრო სფეროში გაერთიანებულია ფართო სფერო: ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, სადაც შედის კვალიფიკაციები საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა. აქედან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა ჩასწორდეს შემდეგნაირად:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, გეოლოგიაში, გეოგრაფიაში, გეოფიზიკაში ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნებისმიერ დეტალურ სფეროში, ასევე, მათემატიკაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, სამთო საქმესა და გეოლოგიის მენეჯმენტში, არქეოლოგიაში, ინჟინერიის,

წარმოებისა და მშენებლობის ისეთ დეტალურ სფეროებში როგორცაა, გარემოს დაცვის ტექნოლოგია, სამთო საქმე და მოპოვება, ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული (საინჟინრო ფიზიკა, საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა). ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: წარმატებით ჩაბარებული ზეპირი გამოცდა, რომელიც მოიცავს დარგობრივი ცოდნის შემოწმებას, კვლევითი განაცხადის პრეზენტაციას და დისკუსიას. ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიერ პროგრამისთვის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემაში ზეპირი გამოცდის შეფასების № 4 დანართში სადოქტორო პროგრამის კანდიდატის ზეპირი გამოცდა ფასდება ორი ძირითადი კომპონენტის მიხედვით - დისკუსია და პრეზენტაცია. საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი, რუბრიკა „სწავლა“ www.iliauni.edu.ge
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო ანტიურის დებულება

რეკომენდაციები:

- გასწორდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინჟინერიის სფეროების მიმართულებით;
- შესაბამისობაში მოვიდეს ზეპირი გამოცდის შეფასება პროგრამის კურიკულუმში და სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურებსა და შეფასების სისტემაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში.

პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით შემდეგ ეტაპებად: შეიქმნა პროგრამის სამუშაო ჯგუფი (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ხარისხის განვითარების სპეციალისტი); ჩატარდა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საფეხურის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფი; სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სწავლის შედეგების პირველადი ვერსია; დასაქმების ბაზრის საჭიროებების და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით დამსაქმებლებმა განიხილეს პროგრამის პირველადი ვერსიის დოკუმენტები;

პროგრამის დოკუმენტები გაიგზავნა უცხოელ პარტნიორთან მისი უკუკავშირის მიღების მიზნით; სამუშაო ჯგუფმა განიხილა მიღებული უკუკავშირი, გადახედა პროგრამის სწავლის შედეგებს და შექმნა სწავლის შედეგების რუკა; შემუშავდა პროგრამის სრული პაკეტი - კურიკულუმი, სილაბუსები, კონცეფციები; პროგრამის საბოლოო ვერსია გადაეცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად; აღნიშნულმა საბჭომ განიხილა პროგრამა და გადასცა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად; აკადემიურმა საბჭომ განიხილა პროგრამა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად და მიიღო გადაწყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ.

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით (კვლევითი განაცხადი, უცხო ენის მაღალი კომპეტენცია, ზეპირი გამოცდა) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა დაბალანსებულია და ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი კომპონენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება პროგრამის რუკით.

პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 3-5 აკადემიური წელი.

კურიკულუმი შედგება სავალდებულო კურსებისაგან/კომპონენტებისაგან და სავალდებულო - არჩევითი მეთოდური ბლოკისგან (სასწავლო კურსები „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული ანალიზი“, „სტატისტიკა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისათვის“, „მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა“), სადოქტორო კოლოქვიუმისაგან და სადოქტორო ნაშრომისგან. პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები. მაგალითად, სასწავლო კურსი „სადოქტორო სემინარი II“ წარმოადგენს სადოქტორო კოლოქვიუმზე და სასწავლო კურსისთვის „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ დაშვების წინაპირობას. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა,

რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის.

პროგრამის სტრუქტურა (48 კრედიტი)

o სავალდებულო კურსები/კომპონენტები - 36/42 კრედიტი;

o სავალდებულო - არჩევითი მეთოდური ბლოკი - 6/12 კრედიტი;

პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, საჭიროების შემთხვევაში კომპონენტებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სასწავლო კურსების კატალოგი და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge და ინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

პროგრამა ითვალისწინებს სადოქტორო კოლოკვიუმების სერიას, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით წარადგენენ თავიანთი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების წინაშე და იღებენ მათგან უკუკავშირს.

კვლევითი თემატიკიდან გამომდინარე დოქტორანტი ირჩევს მინიმუმ ერთ კურსს მეთოდური ბლოკიდან, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიის დაუფლებას და ეხმარება კვლევისთვის რელევანტური მეთოდის შერჩევაში.

სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება მინიმუმ ორი პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus და/ან Claryvate Analytics ბაზებში და ჰქონდეს 0.5-ზე უფრო მაღალი იმპაქტ ფაქტორი/ციტირების ქულა. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში. ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის შესახებ განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდსა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსში“.

კურიკულუმის მიხედვით პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) შეადგენს 3-5 წელს (6-10 სემესტრი). აქედან გამომდინარე, სტუდენტს სადოქტორო ნაშრომის შესრულება შეუძლია მეექვსე და შემდგომ სემესტრებში. პროგრამის სტრუქტურაში კი მონიშნულია, რომ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომის წარდგენა შეუძლია მეშვიდე და შემდგომ სემესტრებში. საჭიროა გასწორდეს ეს ხარვეზი და პროგრამის სტრუქტურაში სადოქტორო ნაშრომის წარდგენა მოინიშნოს მეექვსე სემესტრშიც.

კურიკულუმის ბოლო გვერდზე, ცხრილში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, არც ჩანს სასწავლო კურსი „ასისტირება“. საჭიროა აღნიშნული სასწავლო კურსის ჩამატება პროგრამის ცხრილში.

ასევე, სასურველია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც კომპონენტების ჩამონათვალშია სამეცნიერო პუბლიკაციები და TSDC ტრენინგი, რომლებიც არაა კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები. ამიტომ, საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგების რუკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- დამსაქმებლის კვლევა
- სადოქტორო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიში
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საფეხურის სტუდენტების დაკურსდამთავრებულების ფოკუს-ჯგუფი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტიკური რევიუები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამიდიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ადადოქტორანტურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი”.

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ცხრილში დაკორექტირდეს სადოქტორო ნაშრომის წარდგენის ვადები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გასწორდეს ხარვეზი კურიკულუმის ცხრილში და დაემატოს სასწავლო კურსი „ასისტირება“;
- სასურველია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა

შესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან (რაც ასახულია პროგრამის რუკაში) და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან.

სადოქტორო პროგრამა იწყება 2 სადოქტორო სემინარით (თითოეული 6 კრედიტი). სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე. სემინარები სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით დოქტორანტის მიერ სწავლების მეორე სემესტრის ბოლოს. დოქტორანტი იცავს პროსპექტუსს დარგობრივი კომისიის წინაშე. დეტალური ინფორმაცია სადოქტორო სემინარების შესახებ მოცემულია სადოქტორო სემინარების კონცეფციაში.

საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავებას და დარგის უახლესი ტენდენციების დაუფლებას დოქტორანტი ახდენს დარგობრივი სემინარების ფორმატში. სემინარების რაოდენობა და ხელმძღვანელი განისაზღვრება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით საკვლევ თემის საჭიროებიდან გამომდინარე.

დოქტორანტების აკადემიური წერის უნარების განვითარებას ხელს უწყობს კურსი „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ (6 კრედიტი), რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ხელშეწყობას საერთაშორისო პუბლიკაციის მომზადების პროცესში.

პროსპექტუსის დაცვის შემდეგ, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით (სემესტრში ერთხელ) წარადგენენ თავიანთი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების (მათ შორის მომიჯნავე დისციპლინების სადოქტორო პროგრამებიდან) წინაშე და იღებენ მათგან უკუკავშირს.

ასისტირების კომპონენტი უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, უძღვება აკადემიური კურსის კომპონენტს, როგორც ლექტორი/ტუტორი; შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას.

სწავლების ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი, რომელთა მიზანია სწავლების და შეფასების ახალ მეთოდებთან და მიდგომებთან დაკავშირებული თეორიული საფუძვლების გაცნობა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარება.

თითოეული კურსის სილაბუსში/კონცეფციაში მითითებულია კომპონენტის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს

უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის „Elearning“-ზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას.

თითოეული კურსის სილაბუსში/კონცეფციაში მითითებულია კომპონენტის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათები გადანაწილებულია ადეკვატურად და მაქსიმალურად ითვალისწინებს კომპონენტების სპეციფიკას.

თუმცა, სასწავლო კურსების მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მათი ნაწილი არ იძლევა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობას, აღწერილია სხვადასხვა დროში (მაგ. სტუდენტს აქვს კომპლექსური და სისტემური ცოდნა იცის ეცოდინება აქვს ცოდნა ექნება ცოდნა შეუძლია შეძლებს აქვს მზაობა განვითარებული აქვს). საჭიროა გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები და კომპეტენციები გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

სასწავლო კურსში „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ ერთ-ერთი შედეგია: თავის დარგში დამოუკიდებლად მოიძიოს რელევანტური სამეცნიერო ჟურნალი და მისი მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც მზად იქნება გამოსაქვეყნებლად წარდგენისთვის. დასკვნით შეფასებაზე დოქტორანტმა უნდა წამოადგინოს სამეცნიერო სტატიის დასრულებული ვარიანტი, რომელიც იქნება გამართული როგორც შინაარსობრივად და აკადემიურად, ასევე სრულად დააკმაყოფილებს სტატიისათვის წაყენებული საერთაშორისო მოთხოვნებს. შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია სტატიის შინაარსობრივი გამართულობა (8 ქულა). ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი პროფესორი თავისი კომპეტენციით სავარაუდოდ ვერ შეაფასებს დოქტორანტების წარმოდგენილ მრავალფეროვან სტატიებს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში და ამიტომ, უმჯობესია გამოცდა ჩატარდეს კომისიური წესით, რომელსაც დაესწრება დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ან/და შესაბამისი დარგის პროფესორი.

ასისტორების კომპონენტზე დაშვების წინაპირობაა: კვლევითი ასისტორების დაწყებისათვის დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი ანუ სადოქტორო სემინარები. სწავლების ასისტორების კომპონენტის შესრულებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტოროპროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიასსახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების , კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდა ისგანსაზღვრის წესი
- კურსების შეფასების კითხვარი

<ul style="list-style-type: none"> ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამიანის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ადადოქტორანტურის დებულება
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია კომპონენტისათვის „სამეცნიერო წერა დოქტორანტებისათვის“ დასკვნითი შეფასება ჩატარდეს კომისიური წესით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის კომპონენტები მიმართულია ხელი შეუწყოს დოქტორანტს, შექმნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა და ანალიტიკური უნარების საფუძველზე შეძლოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>სადოქტორო პროგრამაში ჩართულია დარგში საერთაშორისო გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური მკვლევრები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს კვლევის განხორციელებაში თანახელმძღვანელობას გაუწევენ პარტნიორი ორგანიზაციის მკვლევრები და/ან უცხოელი კოლეგები. პროგრამის აკადემიური პერსონალი ინტენსიურად თანამშრომლობს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს სსიპ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტურ კვლევით პროექტებში.</p> <p>დოქტორანტებს შეუძლიათ აწარმოონ კვლევები ილიას სახელმწიფო</p>

უნივერსიტეტის შემდეგი კვლევითი ერთეულების ბაზაზე: „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი“, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კვლევითი და სხვა აპარატურით; უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „კულტურული მემკვიდრეობა და გარემო“. აღნიშნული კვლევითი ერთეულები აღჭურვილია საჭირო სამეცნიერო აპარატურით, ხარჯვადი მასალით და უზრუნველყოფენ საკვლევ მასალასთან (მათ შორის, მონაცემთა ბაზებთან) დოქტორანტის წვდომას. დოქტორანტებს შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო-კვლევითი ბაზები ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში, ასევე სამეცნიერო გემი წმინდა ილია“ და კატარდა.

2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის მისიაც არის მაღალხარისხიანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღნიშნული საერთაშორისო სადოქტორო სკოლა მსურველებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროექტებს (Cotutelle-based Ph.D. projects), რომელთა სამუშაოებიც მათ ექნებათ შესაძლებლობა მოიპოვონ ორმაგი და/ან რამდენიმე ხარისხი კი.

უნივერსიტეტი არის ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრი (2017 წლიდან), რომლის ფარგლებში უზრუნველყოფს პასუხისმგებლიანი კვლევების წარმოებას და ნერგავს ინოვაციურ მიდგომებს როგორც აკადემიურ საზოგადოებაში, ისე მათთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუციებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, და ასევე სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას.

უნივერსიტეტი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას. განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის დოქტორანტებისა და მკვლევრების ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდამჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გადრმავევა; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს დოქტორანტების მონაწილეობის დაფინანსებას სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ვორქშოპებში. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესდა პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო, რომლის ოდენობა 3 000 ლარია. პრემია მინიჭებული აქვს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულების სტუდენტს, მისი პუბლიკაციისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- განვითარების სამსახურის დებულება <https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf>

<ul style="list-style-type: none"> o სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf o საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46577.pdf o პასკალის პრემიის დაწესების შესახებ აკადემიურის აბჭოს 2014 წლის 28 მარტის №98 გადაწყვეტილება o კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება; o ინფორმაცია კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის შესახებ http://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/home/ o სადოქტორო დონეზე თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება; ერთობლივი ხელმძღვანელობის შესახებ ხელშეკრულება ჩარჩო-დოკუმენტი o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრები და ინსტიტუტები www.iliauni.edu.ge o პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ები o საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ადადოქტორანტურის დებულება o საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და ფინანსების წესი o ლაბორატორიული საფრთხეების უზრუნველყოფის ინსტრუქცია o ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის</p>

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების დროს გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდი, პრეზენტაცია, დისკუსია, სუპერვიზია, რეფლექსია, ანალიზი და სინთეზი და სხვა.

სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან, კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე „არგუსის“ ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სადოქტორო სემინარები და კოლოკვიუმები ემსახურება სტუდენტების ინდივიდუალურ კვლევით საჭიროებებს.

სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ასეთი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- კურსების შეფასების კითხვარი
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი <http://writingcentre.iliauni.edu.ge>
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სტუდენტთა შეფასების სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები) და შესწავლისა და ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა მრავალ კომპონენტანია. სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ დადასკვნით შეფასებას. დოქტორანტებს შეუძლიათ ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსის“ დახმარებით თავიდანვე გაეცნოს კურსების სილაბუსებს და თითოეული მათგანის შეფასების ძირითად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. თავის მხრივ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალიც ფლობს სათანადო ინფორმაციას ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. უსდ-ში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას. სადოქტორო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Elearning“ და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა „Turnitin“-ით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინ დოქტორანტი ვალდებულია მინიმუმ ორი სტატია დაბეჭდოს რეფერირებად Scopus და/ან Clarivate Analytics საერთაშორისო პერიოდულ გამოცემებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში, ასევე სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციაში</p>

განსაზღვრულია ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურები ითვალისწინებენ რეგენზენტების მიერ გადაწყვეტილების მიღებას ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის შესახებ შესაბამისი ფორმის მიხედვით, სადაც აღნიშნება შემდეგი გადაწყვეტილებები: ა) სადისერტაციო ნაშრომი მისაღება დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების გარეშე; ბ) სადისერტაციო ნაშრომი მისაღება დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების შემდეგ; გ) სადისერტაციო ნაშრომი არ არის მისაღები დაცვისთვის. გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვის შესახებ მიიღება ხმათა უმრავლესობით. კერძოდ: ა) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის (ზეპირი) დაცვა; ბ) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში რეგენზენტებს და სადისერტაციო საბჭოს წევრებს კორექტირებული ნაშრომი წარედგინება ხელახლა განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კორექტირებული ნაშრომის საფუძველზე რეგენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება ბ ან გ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო; გ) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის დაცვას მიეცემა მსვლელობა და ინიშნება დაცვის თარიღი. კორექტურისა და სხვა ცვლილებების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს წევრები გონივრულ ვადას აძლევენ დისერტანტს კორექტირებული სადისერტაციო ნაშრომის წარსადგენად. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია: საკვლევი პრობლემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზნის, საკვლევი კითხვის/კითხვების (ჰიპოთეზის) რელევანტურობა; დისერტაციის კონტრიბუცია ახალი ცოდნის შექმნაში; მეთოდოლოგია; შედეგების/მიგნებების ანალიზი და დასკვნების რელევანტურობა; ნაშრომის სტრუქტურა, აკადემიური სტილი, მასალის წარმოჩენა.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, თუმცა მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე, რომ სასწავლო კურსების თითქმის უმეტესობაში (ნაწილობრივ ეხება სასწავლო კურსს „მონაცემთა სივრცითი ანალიზი და გამოსახვა“) შეფასების მეთოდები მოიცავს ბუნდოვან შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, მაგალითისთვის სასწავლო კურსში „სტატისტიკა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისათვის“ დასმული ამოცანის განხილვა და შესაბამისი აპლიკაციის შერჩევა ფასდება 6 ქულით, რომლის გასაზომდაც მოცემულია შემდეგი რუბრიკა:

საუკეთესო	ძალიან კარგი	კარგი, მცირე ხარვეზებით	საშუალო ხარვეზებით	დამაკმაყოფილებელი	ცუდი/არ არის შესრულებული
6	5	4	3	2	1 - 0

შესაბამისად, ბუნდოვანია როდის იღებს სტუდენტი 6 ქულას და რას ნიშნავს „საუკეთესო“ - სილაბუსში არ არის განმარტებული შესაბამისი კრიტერიუმები, ასევე უცნობია რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტი 3 ქულას და როდის 2 ქულას, რადგან არ ჩანს განსხვავება „კარგი, მცირე ხარვეზებითა“ და „საშუალო ხარვეზებით“ შეფასებას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და და 1¹ მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის მიხედვით, დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის მაქსიმალური ქულის 60%, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტოროპროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის სფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ადადოქტორანტურის დებულება
- სისტემები <http://elearning.iliauni.edu.ge> და <http://turnitin.com>
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
- კურსების შეფასების კითხვარი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1¹ მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტები დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებსა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციებს. შესაბამისი სამსახურები და პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას აღნიშნული სტუდენტებისთვის. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის ყოველ სემესტრული საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. შედეგად სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა კომპანიების სამუშაოებში. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და ასევე სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად შეათანხმოს საკონსულტაციო საათები ლექტორებთან. კონსულტაციების შესაბამისი ცხრილი აისახება შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემა „არგუსში“. ასევე კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტებისთვის ერთიანი

საკომუნიკაციო სისტემის/ქსელის შექმნა ინფორმაციის გაცვლის, მათი შეკრების, კვლევის საწყისი/შუალედური შედეგების, მოხსენებების, კოლოკვიუმების ორგანიზებისა და ხელშეწყობის მიზნით და მათი კვლევებისთვის ფინანსური ხელშეწყობა, სადოქტორო სტიპენდიების მოძიებაში დახმარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უსდ და ფაკულტეტი ხელს უწყობენ დოქტორანტების დასაქმებას. კარიერული განვითარების სერვისების ფარგლებში დეპარტამენტი ახორციელებს ისეთ პროექტებსა და აქტივობებს, როგორებიცაა: მარი ბურდულის სახელობის დასაქმების თვე და პროფილური დასაქმების ფორუმების სერია - UNIJOBS. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წელიწადში ორჯერ (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში) ატარებს მარი ბურდულის სახელობის დასაქმების თვეს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის, რომლის განმავლობაში ათეულობით შეხვედრა იმართება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებთან. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უტარდებათ კარიერული განვითარების მხარდაჭერი ვორქშოუები. UNIJOBS – ის სერია მოიცავს შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ტრენინგებს და კონსულტაციებს კარიერული განვითარებისთვის და სხვ. UNIJOBS-ის ბაზაში რეგისტრირებულ კურსდამთავრებულებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების შესახებ. უსდ ასევე ორგანიზებას უწევს სხვადასხვა კვლევით-სამეცნიერო ბაზებზე არაერთ სეზონურ სკოლასა და ბანაკს. პანდემიის პირობებში საორიენტაციო შეხვედრებმა დისტანციურ ფორმატში ჩაიარა, რომლებშიც ფაკულტეტებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები. ასევე, შეიქმნა ვებ-გვერდი <https://freshman.iliauni.edu.ge> ექსპერტთა შეფასებით, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების მიწოდების შეფასების და ანგარიშგების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;
- სილაბუსები და კონცეფციები;
- სადოქტორო პროგრამა
- საერთაშორისოგაცვლითიპროგრამები
- არჩევანისგარემოსუზრუნველყოფისსისტემა: „არგუსი“
- კონფერენციაშიმონაწილეობისდაფინანსებისწესი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელები, რომლებიც არიან უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი/ები, რომელიც შესაძლოა მოწვეული იყოს სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობებია: რეგულარული კონსულტაციები ჰქონდეს დოქტორანტურის სტუდენტებთან; კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას; კონსულტაცია უნდა მოიცავდეს დოქტორანტის პროგრესზე პერიოდულად უკავშირს, ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, კვლევის დიზაინსა და პროექტის მენეჯმენტში დახმარებას; ასევე, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითინაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში დახმარებას; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას; სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დასკვნას და უკუკავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონსულტაციების განრიგი ელექტორთან შეთანხმების საფუძველზე - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“
<http://argus.iliauni.edu.ge>
- სადოქტორო პროგრამა

<ul style="list-style-type: none"> o სადოქტორონაშრომისკონცეფცია o საბუნებისმეტყველომეცნიერებებისადამედიცინისფაკულტეტისსადისერტაციოსაბჭოსადადოქტორანტურისდებულება o დოქტორანტებისხელმძღვანელებისპირადისაქმეები o მიმდინარესაგრანტოპროექტებისსია o ინტერვიუს შედეგები o სადისერტაციო ნაშრომები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები წარმოადგენენ დარგში მოწინავე მეცნიერებს, რომლებიც კვლევითი და აკადემიური საქმიანობის გარდა, საექსპერტო მომსახურებებს ეწევიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით. პერსონალი აღჭურვილია უახლესი ცოდნით და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში, მონაწილეობს სამეცნიერო ღონისძიებებში, ერთობლივ პროექტებში. აკადემიური პერსონალის აღნიშნული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს უცხოურ კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებში მიღებულ გამოცდილებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში და დოქტორანტების რაოდენობა განისაზღვრება ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვით. აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში, სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, დოქტორანტების კონსულტირება და მხარდაჭერა, ასევე პროგრამით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი წესებით (პროგრამის შექმნისა და განვითარების, პროგრამის განხორციელების შეფასების და პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შესახებ) და აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით.

პროგრამას ანხორციელებს 8 აკადემიური და 1 სამეცნიერო პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 4 პროფესორია, 3 - ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ახლდება სემესტრულად და განისაზღვრება მათზე დაკისრებული სასწავლო და/ან სამეცნიერო კვლევითი და სხვა ფუნქციამოვალეობებიდან გამომდინარე.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი არის მულტიდისციპლინური, მრავალმხრივი სამეცნიერო-პრაქტიკული და 15 წელზე მეტი სწავლების გამოცდილების მქონე დარგის მკვლევარი და ექსპერტი. ის არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელი ასევე ჩართული არის პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი.

პროგრამის განვითარებაში, გარდა აკადემიური პერსონალისა, ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტი და კოორდინატორი რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას. პროგრამის განხორციელებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- ინფორმაცია გამოცხადებული კონკურსის შესახებ და კონკურსის შედეგები (<https://iliauni.edu.ge>)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის და გეგმვის მექანიზმი იდამეთოდოლოგია
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ადმინისტრაციული სამუშაოს აღწერილობები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამედიცინის ფაკულტეტის დებულება
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი ○ პროგრამის სამუშაო გეგმის ოქმები ○ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<p>დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.</p> <p>სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს, მათ შორის შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმებს. სამსახური მართავს და</p>

პერიოდულობით აახლებს შესაბამის პროექტების მონაცემთა ბაზას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს.

უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრები, მათ შორის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი კულტურული მემკვიდრეობა და გარემო, გარემოს კომპლექსური კვლევის სასწავლო კვლევითი ლაბორატორია წარმატებით მონაწილეობენ საგრანტო პროექტებში ევროპის და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან კოლაბორაციაში.

განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევარებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდაჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესებების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის. ამასთანავე უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით. უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარებს,

რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის ERASMUS + პროგრამების ფარგლებში; ხელს უწყობს უცხოელი მკვლევებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ადამედიცინის ფაკულტეტის დებულება
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში -
- განვითარების სამსახურის დებულება <https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf>
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი
- აკადემიური პერსონალის ადამაწვავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) საოპერაციო გეგმა
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf>
- უნივერსიტეტის გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ: აკადემიური პერსონალის მობილობა - <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/sagareo-urtiertobebis-samsaxuri-208/gacvliti-programebi>
- ERASMUS+ CBHE projects.
- პასკალის პრემია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/projects/paskalis-premia>
- მიმდინარე საგრანტო პროექტების სია
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით; სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის“ რესურსებზე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კვლევითი და სხვა აპარატურით (თანამედროვე სეისმოგრაფებით, თანამედროვე მოთხოვნებით დაპროექტებული სეისმური სადგურები მონაცემების ონლაინ გადაცემით, დიფერენციალური GPS-ები, საძიებო სეისმური აპარატურა, GPR-ი, ფსკერის სკანირების სონარი და ფსკერქვეშა პროფილირების აპარატურა და სხვ.); უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კულტურული მემკვიდრეობა და გარემო“; „გარემოს კომპლექსური კვლევის ლაბორატორიის“ აღჭურვილობა. აღნიშნული კვლევითი ერთეულები რეგიონის წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებს წარმოადგენენ, და აღჭურვილია საჭირო სამეცნიერო აპარატურით, ხარჯვადი მასალით და უზრუნველყოფენ საკვლევ მასალასთან (მათ შორის, მონაცემთა ბაზებთან) დოქტორანტის წვდომას. შესაბამისად, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ აღნიშნულ კვლევით ინსტიტუტსა და ცენტრებში მიმდინარე კვლევით პროექტებში.

დოქტორანტებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ სამეცნიერო გემი “წმინდა ილია“ და კატარა, ასევე წყალქვეშა კვლევებისთვის განკუთვნილი მთელი რიგი მოწყობილობა; უნივერსიტეტის კეთილმოწყობილი სავლე და სასწავლო-კვლევითი ბაზები ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში. უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ერთეულების აღჭურვილობის მოდერნიზაციის მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს ინფრასტრუქტურის პროექტების კონკურსს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს: სამკითხველო დარბაზებს; ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; კომპიუტერულ რესურსცენტრებს; შეხვედრებისა და

ტრენინგების ოთახს; წიგნსაცავებს და სხვა. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სასწავლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის “რიდერის” დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას.

ინტერაქციის მნიშვნელოვან ფორმას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის “არგუსის” გამოყენება. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუს“-ი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაა, რომელზეც სტუდენტი სწავლის დაწყებისთანავე რეგისტრდება. სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით. არგუსი ეხმარება სტუდენტს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან, უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ელექტრონული პორტალი “Elearning” და პროგრამა TURNITIN. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი"
- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დასეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი - https://ies.iliauni.edu.ge/?fbclid=IwAR1b1pet7iEeIMud_t1lZkfmfL-BoEtwHfkHfT-wQZ03HME9O-ZXVAxkYTg
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები:
<http://library.iliauni.edu.ge/> ელექტრონული სწავლების პორტალი:
<http://elearning.iliauni.edu.ge/>, Turnitin
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ინფრასტრუქტურის,
ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამატებითი დოკუმენტები
- საერთაშორისო ელექტრონული ბაზებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები
- სერვისების შეფასების კვლევა

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი და მზარდი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სტუდენტების, პროფესორ - მასწავლებლებისა და მკვლევარების თანამშრომლობის შედეგად შექმნილია აკადემიური/ პროფესიული განათლების და კვლევის ერთიანი სივრცე. შესაბამისად, კვლევა უნივერსიტეტის პრიორიტეტულ საქმიანობას წარმოადგენს. კვლევის ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია უნივერსიტეტში მოქმედი უფასო სადოქტორო პროგრამები, რომელთა ფინანსური უზრუნველყოფაც სრულად ხორციელდება უნივერსიტეტის სახსრებით. სადოქტორო პროგრამის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას, კერძოდ:</p> <p>- პროგრამის გრძელვადიანი მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის განსახორციელებლად</p>

გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები, უნივერსიტეტის გამოთვლითი ცენტრი, ელექტრონული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბაზები. პროგრამისათვის გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი - უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის რესურსების ზრდა, რაც უზრუნველყოფს პროგრამას საჭირო ლიტერატურით;

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის ინსტიტუტებს და კვლევით ცენტრებს აქვს დამატებითი საგრანტო მხარდაჭერა; აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესორების სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას; უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს კვლევითი პროექტების და შიდასაუნივერსიტეტო ინსტიტუციური განვითარების კონკურსებს;

- პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი;

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიაა 2019 – 2024 წლების მანძილზე კოორდინირებულად იმუშაონ ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციისთვის, რისთვისაც ფაკულტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და კვლევით პერსონალის მიღწევების შესახებ ცნობადობის გაზრდას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტური პროექტების მიმართულებით, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს წარჩინებული დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსებას. ასევე, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევების შედეგების პრეზენტაციის, გამოცემის და სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენის ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჩართული პერსონალის საგრანტო პროექტების ხელშეკრულებები
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf>
- პროგრამის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ასევე, შემუშავებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები, რომლებშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და განვითარება შეფასების განხორციელების პროცესში; შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამის განვითარების პროცესში პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამუშაო ჯგუფი ოქმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები კონსულტირებას უწევდნენ სამუშაო ჯგუფის წევრებს აკრედიტაციის სტანდარტებთან და სხვა მარეგულირებელ დებულებებთან დაკავშირებით, აცნობდნენ ჩატარებული კვლევების შედეგებს.

დამუშავებული შედეგები მიეწოდებათ დაინტერესებულ მხარეებს - პროგრამის ხელმძღვანელს, სამუშაო ჯგუფს, ფაკულტეტის საბჭოს. შემუშავებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც პროგრამის განხილვას ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით - თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება, სწავლება სწავლის მეთოდების რელევანტურობა, წინაპირობებთან, აკადემიურ პერსონალთან და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით.

საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს მოხსენებებს/ანგარიშს ჩატარებული კვლევების შესახებ და გასცემს რეკომენდაციებს.

ვიზიტის დროს გამოჩნდა რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში ხდება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გაცნობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის შეფასება (კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას;

დაწესებულება პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების მიზნებისთვის იყენებს გარე დარგის სპეციალისტების შეფასებებს. პროგრამა შეფასდა ბრიჯუოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტის (Bridgewater State University) გეოლოგიური მეცნიერებების ასისტენტ-პროფესორის (აშშ) დოქტორ ქრისტინ ბრედსონის მიერ. გარე შემფასებლის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო პროგრამის შემუშავებისას.

დაწესებულებას გარე შეფასების მექანიზმად ასევე გამოყენებული აქვს დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბრიჯუოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტის (Bridgewater State University) გეოლოგიური მეცნიერებების ასისტენტ-პროფესორის (აშშ) დოქტორ ქრისტინ ბრედსონის მიერ პროგრამის შეფასება;
- დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომლის მიზანია დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდულ შეფასება და მონიტორინგი მიმართულია პროგრამების განვითარებისა და მათ მუდმივი გაუმჯობესებისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი მოიცავს:

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ანალიზს და რევიზიას მოცემულ დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით;

საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზს;

სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან განთავსების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას;

საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზი;

სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასებას მოცემული პროგრამის მიზნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები და მეთოდები:

• სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ;

• კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ;

• დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.

პროგრამის განხორციელების შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“, რომლის ბაზაზე შესაძლებელი ხდება ელექტრონული კითხვარების მიწოდება თითოეული სტუდენტისთვის, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების და სხვა შესაბამისი მონაცემების შეგროვება.

შეგროვებული მონაცემები აისახება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შიდა თვითშეფასების ანგარიშში, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები; ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; კურიკულუმის ექსპერტი. ანგარიში და პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს, რომელიც განხილვის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შემუშავებული კითხვარები და ჩატარებული კვლევების ანგარიშები. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი (წარმოდგენილი კითხვარი სამაგისტრო საფეხურისთვისაა), სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი), დასაქმების კვლევის კითხვარი, დაწესებულება ასევე იყენებს სერვისების კვლევას, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი. ასევე წარმოდგენილი არის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის შეფასება (კურსდამთავრებულთა და მოქმედსტუდენტთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში).

მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ მიერ დადასტურდა, რომ ისინი მონაწილეობენ ზემოთ აღნიშნულ კვლევებში და მათი მოსაზრებების გაზიარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას ხარისხის განვითარების მიზნის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის შეფასება (კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაში შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით გაფართოვდეს კვლევები აღნიშნული მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



შალვა კელეპტრიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



ნინო ჯორჯუა

გიორგი ბრეგვაძე



ირაკლი ნოდია

